ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 129

"24" მაისი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს" (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, 2018 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 6 მაისამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს „ალმას" (ს/კ: 204873388) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმა ტრანსპორტს" (ს/კ: 405142821) შორის 2016 წლის 19 აპრილს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - №160405188) მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.1, 2.1.3 და 2.1.9 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.6 და 3.7 პუნქტების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან - 2019 წლის 6 მაისამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან შპს „ალმას" (ს/კ: 204873388) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე